

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების საგრანტო კონკურსის პირობები

შესავალი

ზოგადი განათლების ხარისხის ამაღლებისათვის, მნიშვნელოვანია, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მოქნილი სისტემის შექმნა. ამისათვის აუცილებელია სერვისების მიწოდების მოქნილი მოდელის ჩამოყალიბება, რაც ხელს შეუწყობს გარე მიმწოდებლების ჩართვას, სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მომსახურების ეტაპობრივი დეცენტრალიზაციის პროცესში.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარება მრავალმხრივი პროცესია. ამ ეტაპზე, ცენტრი არსებული რეალობისა და საჭიროებების გათვალისწინებით, აცხადებს კონკურსს - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პროგრამების შესარჩევად.

კონკურსის მიზნები და პრიორიტეტები

გლობალური მიზანი

კონკურსი ხორციელდება მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სერვისების სისტემის რეფორმირების ფარგლებში, რაც მოიაზრებს მასწავლებლებისათვის სერვისების მიწოდების დეცენტრალიზაციას და ამ პროცესში, ცენტრში არსებული სერვისების ეტაპობრივ გატანას გარე მიმწოდებლებზე.

სერვისების მიწოდების სისტემის დეცენტრალიზაცია საშუალებას მოგვცემს:

- მასწავლებელთა სერვისები გახდეს მრავალფეროვანი, ციკლური და ხარისხიან შედეგზე ორიენტირებული;
- მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებაში ხელი შეეწყოს ინოვაციური და შემოქმედებითი მიდგომების შემუშავებასა და დანერგვას;
- საგრანტო კონკურსების საშუალებით შესაძლებელი გახდეს სხვადასხვა აქტორებს შორის პარტნიორობის სტიმულირება, სკოლების ქსელური მუშაობის ხელშეწყობა, საჭიროებებსა და კონკრეტულ შედეგებზე მეტი ფოკუსირება.
- განათლების სფეროში მოხდეს გარე, დამოუკიდებელი მიმწოდებლების განვითარების სტიმულირება და ექსპერტული ცოდნის დაგროვება.
- მოხდეს ცენტრის მენეჯმენტის ეფექტიანობის გაზრდა და გაჩნდეს მხარდამჭერ ღონისძიებებზე რესურსების მეტად ფოკუსირების შესაძლებლობა.

კონკურსის მიზანი

კონკურსის მიზანია, სერვისის გარე მიმწოდებლების ჩართულობით, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, მრავალფეროვანი და ინოვაციური მიდგომების წახალისება შემდეგ თემატურ მიმართულებებში:

1. სკოლის საერთო კულტურის გაძლიერება;
2. სასწავლო და სოციალური პროექტების საშუალებით სწავლა-სწავლების პროცესის ეფექტიანობის ხელშეწყობა;
3. სკოლის ბაზაზე საკლუბო და საწრეო საქმიანობის ხელშეწყობა.

აღნიშნული მიმართულებების პრიორიტეტულობის განსაზღვრა ეფუძნება საქართველოში ჩატარებულ კვლევებს¹ და მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში შეტანილ ცვლილებებს. ამ ცვლილებების მიხედვით, განისაზღვრა დამატებითი საქმიანობები/აქტივობები, რომლებიც მასწავლებლებს დახმარებას გაუწევს კარიერულ წინსვლაში, კერძოდ: სასწავლო და სოციალური პროექტები, საწრეო და საკლუბო მუშაობა სკოლის ბაზაზე, დისტანციური სწავლება და სხვა.

გრანტის მოცულობა

საგრანტო სამივე მიმართულებაზე ცენტრის მიერ განსაზღვრული საერთო ბიუჯეტი შეადგენს - 300 000 (სამასი ათას) ლარს, რომელიც შესაძლებელია არ გადანაწილდეს თანაბრად მიმართულებების მიხედვით.

გრანტის ჯამური მოცულობა თითოეული თემატური მიმართულების მიხედვით შეადგენს:

მიმართულება N1 - სკოლის საერთო კულტურის გაძლიერება - 165 000 ლარი.

მიმართულება N2 - სასწავლო და სოციალური პროექტების საშუალებით სწავლა-სწავლების პროცესის ეფექტიანობის ხელშეწყობა - 60 000 ლარი.

მიმართულება N3 - სკოლის ბაზაზე საკლუბო და საწრეო საქმიანობის ხელშეწყობა - 75 000 ლარი.

¹ მასწავლებელთა საჭიროებებისა და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის მიერ შეთავაზებული მომსახურებების, რესურსებისა და პროგრამების შეფასება, 2017.

[http://tpdc.gov.ge/uploads/pdf_documents/Final%20Analytical%20Report%20\(TPDC\)%2027%2004%2014.pdf](http://tpdc.gov.ge/uploads/pdf_documents/Final%20Analytical%20Report%20(TPDC)%2027%2004%2014.pdf)

ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმისა და ბავშვზე ზრუნვის სისტემის შეფასება, კვლევა ჩატარდა “ძლიერი კოალიცია ბავშვების კეთილდღეობისთვის” პროექტის ფარგლებში, 2014.

http://gccy.ge/files/Report_Child_Welfare_Reform_GEO.pdf

ბავშვთა მიმართ ძალადობა საქართველოში, ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების ანალიზი და მთავრობისთვის შემუშავებული რეკომენდაციები, 2013.

http://unicef.ge/uploads/Unicef_VAC_GEO_Final3_02_09.pdf

გრანტით დაფინანსდება:

- საგრანტო პროექტის მენეჯმენტის შრომის ანაზღაურება (პროექტის საერთო ბიუჯეტის არაუმეტეს 10%-სა);
- საგრანტო პროექტის მიზნების შესაბამისი ხარჯთეფექტური აქტივობები.

გრანტით არ ფინანსდება:

- საოფისე ქირა;
- კომპიუტერული ტექნიკისა და სატრანსპორტო საშუალებების შეძენა;
- ქვეგრანტის გაცემა;
- სხვა ხარჯი, რომელიც არ შეესაბამება პროექტის მიზნებს.

საგრანტო პროექტის განხორციელების ვადები:

საგრანტო პროექტის დაწყების ვადა უნდა იყოს არაუგვიანეს - 21.08.2017

საგრანტო პროექტის დასრულების ვადა უნდა იყოს არაუგვიანეს - 11.12.2017

საგრანტო კონკურსში მონაწილეობა

საგრანტო კონკურსში განაცხადების მიღება წარმოებს 2017 წლის 21 ივნისიდან 21 ივლისის ჩათვლით.

კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ განათლების სფეროში მოქმედ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირებს ან/და საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს, რომლებიც გაივლიან რეგისტრაციას ან უკვე რეგისტრირებულნი არიან ცენტრის მიერ ადმინისტრირებად შემდეგ ელექტონულ ბაზაში - <http://tpdc.ge/maswavlebeli/sh.php>.

უკვე რეგისტრირებული ორგანიზაციები ხელახალ რეგისტრაციას არ საჭიროებენ.

ორგანიზაციების მიერ საკონკურსო განაცხადების წარმოდგენა უნდა მოხდეს ცენტრის მიერ დამტკიცებული ფორმისა და მოთხოვნების შესაბამისად. განაცხადები, რომლებიც არ იქნება შესაბამისობაში ცენტრის მოთხოვნებთან, არ განიხილება.

საგრანტო კონკურსზე წარმოსადგენი დოკუმენტაცია:

რეგისტრირებულმა მომხმარებელმა საგრანტო განაცხადი უნდა შეავსოს და შესაბამისი დოკუმენტაცია ატვირთოს ელექტრონული სახით. ასევე, საგრანტო განაცხადის შევსებული ფორმა (წერილობითი განცხადება, საგრანტო პროექტი და შესაბამისი დოკუმენტაცია) ამოებჭდილი სახით, შესაბამისი უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი, უნდა მოიტანოს ცენტრის ძირითად მისამართზე: ქ. თბილისი, გმირ კურსანტთა ქ. N1.

განმცხადებელმა უნდა წარმოადგინოს:

1. პარტნიორული (ერთობლივი) პროექტების შემთხვევაში, პარტნიორი ორგანიზაციის თანხმობა და პროექტის ფარგლებში უფლება-მოვალეობების აღწერა.
2. ამ სფეროში მომუშავე ექსპერტების ან ორგანიზაციების წარმომადგენლების ერთი სარეკომენდაციო წერილი.
3. თანადაფინანსების შემთხვევაში - ურთიერთთანამშრომლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

ელექტრონული რეგისტრაციისას შესაბამისი დოკუმენტაცია უნდა აიტვირთოს PDF ფორმატში.

დაფინანსების გაცემის წესი

1. რამდენიმე ორგანიზაციის პარტნიორული (ერთობლივი) პროექტების შემთხვევაში, მითითებული უნდა იყოს მთავარი (გრანტის მიმღები) და პარტნიორი ორგანიზაცია.
2. ორგანიზაციას, როგორც მთავარ (გრანტის მიმღებ) ორგანიზაციას არ შეუძლია მონაწილეობა მიიღოს კონკურსში ერთზე მეტ მიმართულებაზე, თუმცა, არ იზღუდება სხვა მიმართულებაში მონაწილეობის უფლება პარტნიორი ორგანიზაციის სტატუსით.
3. ორგანიზაციას აქვს უფლება ერთი მიმართულების ფარგლებში რამდენიმე ლოტში მიიღოს მონაწილეობა.
4. კონკურსში გამარჯვებული ორგანიზაცია, პროექტის დასაწყისისათვის მიიღებს პროექტის ბიუჯეტით გათვალისწინებული გრანტის 30%-ს, ხოლო დარჩენილი ნაწილის გადარიცხვას საგრანტო ანგარიშ(ებ)ის წარმოდგენისა და მონიტორინგის შედეგების შემდგომ, საგრანტო ხელშეკრულებაში გათვალისწინებული პირობების მიხედვით.

პრიორიტეტები

საგრანტო პროექტის შერჩევისას პრიორიტეტი მიენიჭება:

- ✓ მაქსიმალურად ფართო გეოგრაფიულ დაფარვას;
- ✓ ინოვაციურ, შემოქმედებით მიდგომებსა და თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებას;
- ✓ ბენეფიციარების მაქსიმალურ რაოდენობას;
- ✓ რამდენიმე ორგანიზაციის პარტნიორულ (ერთობლივ) პროექტებს.

საგრანტო კონკურსის თემატური მიმართულებები

მიმართულება 1. სკოლის საერთო კულტურა

სკოლის საერთო კულტურა განსაზღვრულია საქართველოს ეროვნული სასწავლო გეგმით და გულისხმობს ურთიერთპატივისცემისა და თანასწორობის პრინციპების დაცვით

შემოქმედებითი და თანამშრომლობითი გარემოს შექმნას სკოლის საზოგადოების წევრებისთვის. სკოლის საერთო კულტურის განვითარება სკოლის ინსტიტუციური განვითარებისკენ არის მიმართული.

1.1. კონკურსის მიზანი

სკოლის საერთო კულტურის ფორმირებასა და განვითარებაში სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერა, უსაფრთხო და პოზიტიური სასწავლო და სააღმზრდელო გარემოს შექმნა; სკოლის მდგრადი განვითარების ხელშეწყობი საქმიანობების ასახვა სასკოლო სასწავლო გეგმასა და სკოლის მმართველობაში.

საგრანტო კონკურსში წარმოდგენილმა პროგრამამ ხელი უნდა შეუწყოს სკოლის საერთო კულტურის ფორმირებას შემდეგი მიმართულებით:

- თანამშრომლობითი კულტურის განვითარება სასკოლო საზოგადოების ყველა წევრს შორის (ადმინისტრაცია - მასწავლებლები, მასწავლებელი-მასწავლებელი, მასწავლებელი-მოსწავლე, მოსწავლე და მოსწავლე, ადმინისტრაცია - მოსწავლე);
- მშობელთა ინფორმირება და მათი ჩართვა სასკოლო ცხოვრებაში;
- ერთიანი სასკოლო მიდგომა განათლება მდგრადი განვითარებისთვის².

1.2. კონკურსის მიზნიდან გამომდინარე განმცხადებელმა უნდა გადაჭრას შემდეგი ამოცანები:

1. ბენეფიციარი სკოლების ტიპისა და შერჩევის მექანიზმების განსაზღვრა;
2. სკოლის არსებული კულტურის შესწავლა და საჭიროებების დადგენა;
3. მიზნებიდან და საჭიროებებიდან გამომდინარე განსახორციელებელ საქმიანობათა ფორმის განსაზღვრა;
4. შეფასების შედეგებზე დაყრდნობით რეკომენდაციების შემუშავება და შიდა სასკოლო დოკუმენტებში (სასკოლო სასწავლო გეგმა, შინაგანაწესი და ა.შ) ცვლილებების შეტანა;
5. პროექტის მდგრადობისთვის პროცესები მასწავლებლებისა და სკოლის ადმინისტრაციის პროფესიული განვითარების გზით უნდა განხორციელდეს;
6. მონიტორინგისა და კონსულტირების განრიგის შემუშავება სკოლების მდგრადი განვითარების ხელშეწყობის მიზნით.

1.3. მოთხოვნები:

საკონკურსო განაცხადში წარმოდგენილი უნდა იყოს საჭიროებათა კვლევის მეთოდოლოგია, რომელსაც დაეფუძნება ცვლილებები სკოლის შიდა დოკუმენტაციაში.

² <http://se-ed.co.uk/edu/whole-schoolinstitution-approaches-education-sustainable-development-esd-background/>
<http://www.ensi.org/global/downloads/Publications/208/QC-GB.pdf>

2017 წლის 15 სექტემბრამდე წარმოდგენილი უნდა იყოს ანგარიში, სადაც ნათლად იქნება აღწერილი შერჩეულ საქმიანობათა კავშირი კვლევის პირველად მონაცემებთან და შეცვლილი სასკოლო გეგმა. ასევე მონიტორინგისა და კონსულტირების განრიგი.

2017 წლის 15 დეკემბრამდე წარმოდგენილი უნდა იქნას პროექტის სრული ანგარიში.

1.4. შერჩევა და სამიზნე ჯგუფები

პროექტის ფარგლებში უნდა შეირჩეს საჯარო სკოლები, რომელთა მოსწავლეების რაოდენობა აღემატება ორასს.

პროექტის პირდაპირ სამიზნე ჯგუფებს წარმოადგენენ სკოლის ადმინისტრაცია და მასწავლებლები.

პროექტის არაპირდაპირ სამიზნე ჯგუფებს წარმოადგენენ სკოლის მოსწავლეები და მშობლები.

თემატური მიმართულების - „სკოლის საერთო კულტურის“ ფარგლებში საგრანტო კონკურსები ცხადდება შემდეგი ლოტების მიხედვით:

1.5. ლოტები

I.I. ლოტი - აღმოსავლეთ საქართველო: სკოლების რაოდენობა - მინიმუმ 20 საჯარო სკოლა, მათ შორის 10 ქალაქის და 10 სოფლის; მოსწავლეთა რაოდენობა თითოეული სკოლისათვის - არანაკლებ 200-ისა. მოთხოვნილი თანხა არ უნდა აღემატებოდეს 60 000 ლარს.

I.II. ლოტი - დასავლეთ საქართველო: სკოლების რაოდენობა - მინიმუმ 25 საჯარო სკოლა, მათ შორის, 15 ქალაქის და 10 სოფლის; მოსწავლეთა რაოდენობა თითოეული სკოლისათვის - არანაკლებ 200-ისა. მოთხოვნილი თანხა არ უნდა აღემატებოდეს 75 000 ლარს.

I.III. ლოტი - სამხრეთ საქართველო: სკოლების რაოდენობა - მინიმუმ 10 საჯარო სკოლა, მათ შორის 5 ქალაქის და 5 სოფლის; მოსწავლეთა რაოდენობა თითოეული სკოლისათვის - არანაკლებ 200-ისა. მოთხოვნილი თანხა არ უნდა აღემატებოდეს 30 000 ლარს.

ორგანიზაციას უფლება აქვს განაცხადი გააკეთოს რამდენიმე ლოტზე.

თითოეულ ლოტზე უნდა შეივსოს დამოუკიდებელი საგრანტო განაცხადი.

განხილვისას მნიშვნელობა მიენიჭება მაქსიმალურად ფართო გეოგრაფიულ დაფარვას.

მიმართულება 2. სასწავლო და სოციალური პროექტების საშუალებით სწავლა-სწავლების პროცესის ეფექტიანობის ხელშეწყობა

მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში 2017 წლის 24 იანვარს განხორციელებული ცვლილებები მოსწავლეზეა ორიენტირებული. ფორმალურ და არაფორმალურ განათლებაში წახალისებულია პროექტებით სწავლება. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სხვადასხვა პროგრამაში შეტანილია პროექტებით სწავლების საკითხებიც, თუმცა, აღნიშნული

პროგრამები ვერ მოიცავს ყველა სკოლას. ხშირად სკოლებში განხორციელებული სასწავლო და სოციალური პროექტები ვერ პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს. სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვანია ამ მიმართულებით მასწავლებელთა კომპეტენციის ამაღლება.

2.1. კონკურსის მიზანი

პროექტებით სწავლების მნიშვნელობის შესახებ სასკოლო საზოგადოების³ ცნობიერების ამაღლება. სასკოლო საზოგადოების მომზადება სასწავლო და სოციალური პროექტების დაგეგმვასა და განხორციელებაში.

2.2. კონკურსის მიზნიდან გამომდინარე განმცხადებელმა უნდა გადაჭრას შემდეგი ამოცანები:

1. სამიზნე სკოლების შერჩევა და შერჩევის დასაბუთება;
2. პროგრამით გათვალისწინებულ საქმიანობათა განსაზღვრა;
3. საზოგადოების (თემი და სხვა) ჩართულობის მექანიზმების შემუშავება;
4. პროგრამის მონიტორინგისა და განხორციელებული საქმიანობების ეფექტიანობის შეფასების მექანიზმების შემუშავება;
5. რეკომენდაციების შემუშავება სკოლების კონსულტირებისა და პროგრამის მდგრადობისათვის.

2.3. მოთხოვნები:

პროგრამა უნდა მოიცავდეს, როგორც სასწავლო და სოციალური პროექტების დაგეგმვისა და მართვის უნარების განვითარების გზებსა და საშუალებებს მასწავლებლებში, ისე სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისა და პროექტებში ჩართვის მექანიზმებს.

პირველ ოქტომბრამდე უნდა იქნეს წარმოდგენილი მონაწილე მასწავლებლების მიერ Eschool-ზე ატვირთული დაგეგმილი პროექტები. ასევე, სკოლების მონიტორინგისა და კონსულტირების დროში გაწერილი გეგმა.

2.4. სამიზნე ჯგუფები

პროექტის პირდაპირ სამიზნე ჯგუფს წარმოადგენენ სკოლის უფროსი და წამყვანი მასწავლებლები.

პროექტის არაპირდაპირ სამიზნე ჯგუფს წარმოადგენენ სკოლის მოსწავლეები და მშობლები.

თემატური მიმართულების - „სასწავლო და სოციალური პროექტების საშუალებით სწავლა-სწავლების პროცესის ეფექტიანობის ხელშეწყობის“ ფარგლებში საგრანტო კონკურსები ცხადდება შემდეგი ლოტების მიხედვით:

2.5. ლოტები

³ ამ მიმართულებაში სასკოლო საზოგადოებაში მოიაზრება სკოლის ადმინისტრაცია და უფროსი, წამყვანი და მენტორი მასწავლებელი.

II.I. აღმოსავლეთ საქართველო: უფროსი და წამყვანი მასწავლებლების რაოდენობა - მინიმუმ 200. მოთხოვნილი თანხა არ უნდა აღემატებოდეს 30 000 ლარს.

II.II. დასავლეთ საქართველო: უფროსი და წამყვანი მასწავლებლების რაოდენობა - მინიმუმ 200. მოთხოვნილი თანხა არ უნდა აღემატებოდეს 30 000 ლარს.

ორგანიზაციას უფლება აქვს განაცხადი გააკეთოს რამდენიმე ლოტზე.

თითოეულ ლოტზე უნდა შეივსოს დამოუკიდებელი განაცხადი.

განხილვისას მნიშვნელობა მიენიჭება მაქსიმალურად ფართო გეოგრაფიულ დაფარვას.

მიმართულება 3. სკოლის ბაზაზე საკლუბო და საწრეო საქმიანობის ხელშეწყობა

მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში 2017 წლის 24 იანვარს განხორციელებული ცვლილებები ორიენტირებულია მოსწავლეზე, წახალისებულა კლასგარეშე, ექსტრაკურსულარული აქტივობები, მათ შორის, საკლუბო და საწრეო საქმიანობა.

საკლუბო / საწრეო მუშაობის მიზანია, მოსწავლეთა თვითრეალიზების ხელშეწყობა, მათი ჩართვა სასკოლო აქტივობებში და ამ გზით, სასკოლო ცხოვრების გამრავალფეროვნება. საკლუბო / საწრეო მუშაობით მოსწავლეებს უვითარდებათ თანამშრომლობითი, ორგანიზაციული, მართვის, შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების, გადაწყვეტილების მიღების უნარები, რაც ამზადებს მოსწავლეებს დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის.

საქართველოს სკოლებში წლების განმავლობაში არაერთი ორგანიზაცია ახორციელებდა სხვადასხვა პროექტს, არაფორმალური განათლების მიმართულებით. ამ პროექტების მასშტაბები არ იყო დიდი და ხშირად, მათი დასრულების შემდეგ სასკოლო კლუბები არსებობას წყვეტდნენ სკოლებში კლასგარეშე საქმიანობისათვის წამახალისებელი გარემოს არარსებობის გამო. სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვანია ამ მიმართულებით სასკოლო საზოგადოების კომპეტენციის ამაღლება.

3.1. კონკურსის მიზანი:

სასკოლო საზოგადოების მომზადება საკლუბო/საწრეო საქმიანობის დაგეგმვისა და განხორციელებისათვის.

3.2. კონკურსის მიზნიდან გამომდინარე განმცხადებელმა უნდა გადაჭრას შემდეგი ამოცანები:

1. სამიზნე სკოლების შერჩევა და შერჩევის დასაბუთება;
2. სასკოლო საზოგადოების ინფორმირების მექანიზმების შემუშავება;
3. მოსწავლეთა ინტერესებისა და შესაძლებლობების დადგენის მექანიზმების შემუშავება;
4. საჭიროებებიდან გამომდინარე განსახორციელებელ საქმიანობათა განსაზღვრა;
5. კლუბის/წრის კონცეფციის, სამოქმედო გეგმის და პროცესის მართვის მექანიზმების შემუშავება;

6. პროგრამის მონიტორინგისა და საქმიანობების ეფექტიანობის შეფასების მექანიზმების შემუშავება;
7. სკოლების მონიტორინგისა და კონსულტირებისთვის რეკომენდაციებისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება.

3.3. მოთხოვნები:

საწრეო და საკლუბო მუშაობის განვითარებაზე მიმართული პროგრამები უნდა შეესაბამებოდეს მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის შიდა შეფასების ინსტრუმენტებით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

საწრეო და საკლუბო მუშაობის განვითარებაზე მიმართული პროგრამები დაგეგმვისა და მართვის საკითხებთან ერთად უნდა მოიცავდეს მოსწავლეთა ინტერესების კვლევისა და სკოლის ადმინისტრაციასთან, საზოგადოებასთან თანამშრომლობის საკითხებს.

პირველ ოქტომბრამდე წარმოდგენილ უნდა იქნას მონაწილე მასწავლებლების მიერ eSchool - ზე ატვირთული დოკუმენტაცია (კლუბის კონცეფცია, რომელიც მოიცავს დროში გაწერილ სამუშაო გეგმას).

3.4. სამიზნე ჯგუფები

პროექტის პირდაპირ სამიზნე ჯგუფს წარმოადგენენ სკოლის ადმინისტრაცია, უფროსი და წამყვანი მასწავლებლები.

პროექტის არაპირდაპირ სამიზნე ჯგუფს წარმოადგენენ სკოლის მოსწავლეები.

თემატური მიმართულების - „სკოლის ბაზაზე საკლუბო და საწრეო საქმიანობის ხელშეწყობის“ ფარგლებში საგრანტო კონკურსები ცხადდება შემდეგი ლოტების მიხედვით:

3.5. ლოტები

III.I. ლოტი - აღმოსავლეთ საქართველო: ადმინისტრაცია, უფროსი და წამყვანი მასწავლებლების რაოდენობა - მინიმუმ 250. თითოეული სკოლიდან ადმინისტრაციის წარმომადგენლისა და მასწავლებლების ჯამური რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ხუთს. მოთხოვნილი თანხა არ უნდა აღემატებოდეს 37 500 ლარს.

III.II. ლოტი - დასავლეთ საქართველო: ადმინისტრაცია, უფროსი და წამყვანი მასწავლებლების რაოდენობა - მინიმუმ 250. თითოეული სკოლიდან ადმინისტრაციის წარმომადგენლისა და მასწავლებლების ჯამური რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ხუთს. მოთხოვნილი თანხა არ უნდა აღემატებოდეს 37 500 ლარს.

ორგანიზაციას უფლება აქვს განაცხადი გააკეთოს რამდენიმე ლოტზე.

თითოეულ ლოტზე უნდა შეივსოს დამოუკიდებელი განაცხადი.

განხილვისას მნიშვნელობა მიენიჭება მაქსიმალურად ფართო გეოგრაფიულ დაფარვას.